გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

№18 (9371) 30 სექტემბერი, 2022 წელი ფასი 75 თეთრი

## დაბლა გომსა და ღანირში



2

## რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მეორე ეტაპზე



3

## დევნილებისთვის!



## ურაიდა რაიდა! 5

### ჩვენ და აფხაზები ერთად დავიბრუნებთ აფხაზეთს!




9

## ევროპაში აფრიალებული სამტრედიის დროშა



9

მოჭიდავეებმა ახლად გარემონტებული დარბაზი ჩაიბარეს

## ”ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო” 4



# საინფორმაციო თათბირი

დღის, ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა 28 სექტემბერს გამართულ თათბირს, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე უძღვებოდა და რომელსაც ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

სოფლის თავკაცთაგან, სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ანგარიშვალდებული ხელისუფლების პირველმა პირმა სოფლის პროგრამით და საერთოდ,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ მიიღო ინფორმაცია. კიდევ ერთხელ მიმართა მან რწმუნებულებს, რომ ყოველდღიურად აცნობონ, თუ რა ეტაპზეა მიმდინარე სამუშაოები.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდები. მთავარი ყურადღება შესრულებული სამუშაოს ხარისხია. – აღნიშნა დავით ბახტაძემ და კონკრეტულ ლოკაციებზე კონკრეტული შენიშვნების დაფიქსირების შემდეგ, შეკრებილთ მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა.

ლევან ბაბენავა

# კიდევ ერთი ტრენინგის შესახებ

გენდერის თემას მიეძღვნა კიდევ ერთი ტრენინგი, რომელიც მერიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

– ანა აბაშიძე გახლავართ, იურისტი, ადვოკატი, ვმუშაობ ბავშვთა უფლებების, გენდერის მიმართულებით. სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, გმადლობთ, რომ მობრძანდით. ასე მიმართა დარბაზში შეკრებილთ ტრენერმა ანა აბაშიძემ, რომელმაც ვრცლად, საინტერესოდ და ამომწურავად ისაუბრა იმ თანამედროვე გამოწვევებსა და აუცილებლად გასათვალისწინებელ რეკომენდაციებზე, რომლებიც საზოგადოების წინაშე დააყენა თანამედროვეობამ.

ტრენინგი კითხვა-პასუხის რეჟიმში მონაწილეთა აქტიური ჩართულობის ფონზე მიმდინარეობდა.

დარბაზში იმყოფებოდნენ სამტრედიის მუნიციპალური გენდერული საბჭოს წევრები,აგრეთვე მოწვეული სტუმრები, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები.

ჩვენი აზრით, მსგავსი ტრენინგების ჩატარება ხელს შეუწყობს საჯარო მოხელეთა ცნობადობის კიდევ მეტად გაზრდას.

ლევან ბაბენავა



# რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მეორე ეტაპზე

თეა ბაბუნაშვილი

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სამტრედიის მუნიციპალიტეტში კვლავ პრიორიტეტად ითვლება. ამ კუთხით მიმდინარე სამუშაოები კიდევ უფრო მასშტაბური ხდება როგორც დაფინანსების, ისე რეაბილიტირებული გზების რაოდენობის თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, პირველ მოადგილე ვლადიმერ ზაქრაძესთან ერთად სოფელ ბაშში გზის დაგების სამუშაოები მოინახულა. მოუწესრიგებელი გზა მოსახლეობას პრობლემებს უქმნიდა და მისი დაგება მათი უპირველესი მოთხოვნა იყო, გარდა ამისა, ეს გახლავთ გზა, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ თაფლის გადამმუშავებელ საწარმოს, "აპი ჯეოს" მიმდებარედ გადის და საკმაოდ დატვირთულია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "გაკო" ასრულებს.



როგორც მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნავს: "როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული პროექტების სიმრავლე, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვენს მუნიციპალიტეტში. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთი და არა ერთადერთი პრიორიტეტია ამ კუთხით. ამჯერად სოფელ ბაშში ბეტონის საფარით მოწესრიგდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. გარდა იმისა, რომ მოსახლეობას სჭირდება იგი კომფორტული მიმოსვლისთვის, მისი დაგება ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას. მოგეხსენებათ, აქ თაფლის გადამმუშავებელი საკმაოდ დიდი საწარმო მდებარეობს. ამჯერად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს." ეს კი გულისხმობს, რომ სამუშაოები დაიწყება დიდ ჯიხაიშში და დაიგება 37-ე და 38-ე ქუჩები, ბეტონის საფარი დაიგება სოფელ ზემო ტოლებში ეკომიგრანტთა უბანში, დაბლა გომში, მეოთხე ქუჩაზე, აგრეთვე, მოწესრიგდება გომმუხაყრუ-გომნატეხების დამაკავშირებელი გზა. ასფალტის საფარით მოპირკეთდება ხანაპირის ქუჩა. უკვე დაიგო ასფალტის საფარი ყოფილი სასტუმროს ეზოში.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია აღნიშნავს, ყველა მიმდინარე სამუშაო ხარისხის მაღალი სტანდარტით სრულდება.

# დაბლა გომსა და ლანირში

მუნიციპალიტეტის მერს თავის მოადგილესა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად გზების სარემონტო სამუშაოებზე ხშირად ნახავთ. ამჯერად ლანირში ღადანიძეების უბანსა და დაბლა გომში გახლდათ ამ პროცესზე დასაკვირვებლად. ისევე როგორც სხვა დანარჩენი, ამ ორ ადგილზეც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს საგზაო მშენებლობა. ლანირის ადმინისტრაციულ ერთეულში საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ვაკა სტურუასთან და სოფლის დეპუტატ გოჩა არველაძესთან ერთად იმყოფებოდნენ. "ღადანიძეების უბანში" ასფალტით მოპირკეთდება გზის ორკილომეტრ-ნახევრიანი მონაკვეთი. ამ სამუშაოებისთვის 469 ათასი ლარია გამოყოფილი. სამუშაოებს კომპანია "არქეოპოლისი" ასრულებს.

დაბლა გომში, საკმაოდ მჭიდრო დასახლებაში არმირებული ბეტონის გზა კილომეტრ ნახევარზე დაიგება. იმ კონკრეტულ მომენტში, კომპანია "ჯორჯიან ბილდინგი" გზის პროფილის მოჭრისა და ზედმეტი გრუნტის გატანის სამუშაოებს ასრულებდა. როგორც ირკვევა, მოწესრიგებული გზა, რაც განსაკუთრებული აუცილებლობაა ასეთ მაღალმთიან სოფლებში, აქამდე აქ არასდროს არ ყოფილა. მალე სოფელს ამ კონკრეტულ მონაკვეთზე ეს პრობლემა მოეგვარება.

თეა ბაბუნაშვილი



# ურაიდა რაიდა!

## ჩვენ და აფხაზები ერთად დავიბრუნებთ აფხაზეთს!

თეა ბაბუნაშვილი



ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ქართული დროშით, ყვავილების გვირგვინით შემკობილი მემორიალი და კომენტარები პატრიოტული პათოსით – დღესაც ისე აღინიშნა სოხუმის დაცემიდან 29-ე წელი, როგორც გასულ წლებში. კრიტიკის ქარცეცხლში გატარებას ვერ ავცდები, მაგრამ მაინც ასე – ხომ არ განელდა ტკივილი სახელად აფხაზეთი, ხომ არ გვავიწყდება, რომ "ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან..." ჯვართამაღლებას დაცემული სოხუმი ღია ჭრილობა აღარაა, მასაც დრომ "უმკურნალა"!

ფოტოსურათი, სამტრედიის შემოსასვლელი რომ არის აღბეჭდილი, იმ წლების მოსაგონარია, აფხაზურ რარიტეტებთან ერთად სამოქალაქო ომის ფრაგმენტებს რომ გვახსენებს. იმ ძმათამკვლელ ომშიც, ისევე როგორც აფხაზეთში, მოყვრად შემოპარულ მტერს "დაუგია კაკანათები"! ლარსის საზღვარი და არა მხოლოდ ლარსის საზღვარი, დღეს პირს უხსნის დროის პირმოკრულ ჭრილობას. ახლა "ურაიდა რაიდასავით" ომახიანად მოძახილის დროა, როგორც მაშინ, "ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა, ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში"!

გულწრფელი გრძნობები ყოველთვის პოლიტიკისა და პოლიტიკოსების, ხელისუფლებების მიღმაა, იმ უბრალო ადამიანებშია, სამშობლო მთას შემკვდარი ჩიტივით რომ უყვართ, ქვაზე დადებული მადლისგან რომ არაფერს ელოდებიან და კარგად იციან წესად ქცეული ჭეშმარიტება, რომ "შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება"!





ახლაც ისე უნდა დავიწყოთ, როგორც გასულ წლებში, ფაქტი დღესაც ჯიუტია – მემორიალთან, ყვავილების გვირგვინით რომ შემკეს, ადმინისტრაციული სახლის თანამშრომლების, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების გარდა არავინ გამოსულა!

ხსოვნის მემორიალიდან გურამ გაბისკირიასა და ყიული შარტავას მემორიალებთან გადაინაცვლეს და პატივი იმ ღირსეული ქართველების ხსოვნას მიაგეს, მტერმა რომ ვერ დააჩოქა!

"29 ტკივილიანი წელი გავიდა სოხუმის დაცემის შემდეგ, სადაც თავდადებისა და განუმეორებელი გმირობის მაგალითები გვაჩვენა არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ. ბრძოლის ველზე ბევრი დაეცა და კიდევ უფრო მეტი, დევნილი გახდა საკუთარ მიწაზე. წლები ვერ გვავიწყებენ, რომ სოხუმი და სამაჩაბლო ჩვენი განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოებრივი აზროვნებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მშვიდობით დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები და ბოლო მოვუღოთ ოკუპაციას. დღეს ჯვართამაღლების დღესასწაულია, ღმერთმა ინებოს, ამ ღვთის მადლი შეეწიოდეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში!" – ამ სიტყვების ავტორი მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე გახლდათ, საკუთარ მოადგილეებთან, ლადო ზაქრაძესა და გია მეიშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან ერთად რომ შეამკო დიდების მემორიალი. იქ იყვნენ ადამიანები, ქართულ მიწას საკუთარი სიცოცხლის ფასად რომ იცავდნენ აფხაზეთში. ამიტომ ყოველ წელს განსაკუთრებული რესპონდენტია რადი შენგელია. იტყვის და ისეთს, გულის სიმებს რომ ჩამოჰკრავს. ამჯერადაც სასათაურე ფრაზა სწორედ მისი კომენტარიდან შევარჩიეთ, რადგან მან გვითხრა, რომ: "რადგან დღეს აქ ვდგავართ და რადგან რაღაც სასიკეთო იმპულსები თავად აფხაზებიდან მოდის, შეგვიძლია მათი მონატრება დავინახოთ, ქართველების მონატრება ჰქვია ამას. ისინიც მიხვდნენ, რომ შეცდომა იყო ჩვენთან ბრძოლა, ჩვენი ბრძოლა. რომ ჩვენ გვყავს საერთო მტერი და მალე დადგება დრო, როცა ჩვენ და აფხაზები, ერთად დავიბრუნებთ აფხაზეთს!"

"29 წლის წინ, ზუსტად ამ დროს, ჩემ ბატალიონთან ერთად გუმისთაზე ვიყავი, მაგრამ გუმისთა უკვე ჩაკეტილი გახლდათ. მაშინ ორივე მხარე იმპერიამ ჩაგვრთო ომში. ახლა, ვფიქრობ, აფხაზებიც მიხვდნენ, რომ შეცდომაა ჩვენი ბრძოლა, ამიტომ მშვიდობით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი, სხვანაირად არ შეიძლება!" – ეს ზაზა კაჭახიძეა, მუნიციპალიტეტის სამხედრო კომისარი, რომელიც თავად მონაწილეობდა იმ ძმათამკვლელ ომში.

ეს წერილიც სხვა არაფერია, თუ არა პატრიოტული სიტყვებით თამაში. მისი ავტორიც მემორიალთან პატივცების მეტს ვერაფერს აკეთებს უსაქართველოდ მკვდრმოჭრილი ამორძალისთვის!

და დასასრულს მაინც ასე – "ერთ ცას, ერთ ჰაერს, როგორც უნდა როდი ვაფასებთ..."



# "სამტრედიას აქვს მაღალი სამედიცინო პოტენციალი" – რა გეგმებით მოვიდა გიორგი კუხიანიძე "ჯეოში"

ნინო ნანიტაშვილი



*"ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ირაკლი ლალიძე დირექტორის პოზიციაზე გიორგი კუხიანიძემ შეცვალა. ზოგადად, სამედიცინო სფეროში კარგად ნაცნობი და ავტორიტეტული მენეჯერი, იმავდროულად სამტრედიელებისთვის უცნობი კადრი, მისალები აღმოჩნდა ადგილობრივი მედპერსონალისთვის. უფრო მეტიც, სოციალურ ქსელში გიორგი კუხიანიძის მილოცვის პოსტზე მისი პროფესიონალიზმის სრულად დამახასიათებელი მინაწერები გაჩნდა. ერთმა კონკრეტულმა მილოცვამ "სამტრედიის მაცნეს" ყურადღება მიიპყრო და გადავწყვიტეთ, ავტორის სანდოობიდან გამომდინარე, გიორგი კუხიანიძის გასაცნობი სტატია სწორედ ნატალია წიკლაურის, "ჯეო ჰოსპიტალსის" ყოფილი ფინანსური მენეჯერის სიტყვებით დაგვეწყო.*

*"მეტსახელი "ლორდი" – ეს უკვე ამბობს თავის სათქმელს გიორგი კუხიანიძის ერთი სიტყვით დასახასიათებლად. თუმცა, მეტის თქმაც შემიძლია: უკალანტურესი, უპროფესიონალურესი, იშვიათად უნიკალური მენეჯერი, როგორც ზოგად ადმინისტრაციული გაგებით, ასევე ვიწრო სპეციალიზაციით. ადამიანი, რომელთან დიალოგში წინააღმდეგობრივი უნარები უკან იხევს, იმდენად არგუმენტირებული, იშვიათად, მკაფიოდ გამოხატული პოზიციონერობის უნარებითაა აღჭურვილი. ეულოცავ სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსს" გიორგი კუხიანიძის სახით უდიდეს შენაძენს".*

ვთხოვეთ, "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში გვსტუმრებოდა. დიდი სიამოვნებით და ადამიანური თავმდაბლობით დაგვთანხმდა. დირექტორის, ბედან გოგიას კაბინეტში დაიწყო ჩვენი გაცნობა. მხიარულად დაიწყო ჩვენი გაცნობა. მთავრობით აიკინძა შუა ხნის მამაკაცის დიდი ბიოგრაფია, რომლითაც გიორგი კუხიანიძე სამტრედიის "ჯეოშიც" მოვიდა.

დაიბადა ქალაქ ქუთაისში ინტელიგენტების ოჯახში 1957 წლის 2 ოქტომბერს. დედა პროფესიით მასწავლებელი ჰყავდა, მამა – სამხედრო პირი.

ქალაქ ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლა 1974 წელს წარმატებით დაამთავრა და სწავლა გააგრძელა რიგის სამედიცინო ინსტიტუტში, თერაპევტის სპეციალობით. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ მაშინდელ ქუთაისის №1 საავადმყოფოში, ამჟამინდელ საკურორტო საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, იყო თერაპიული განყოფილების გამგე.

1999 წელს გიორგი კუხიანიძე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის იმერეთის რეგიონალური დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა, სადაც 2004 წლამდე იმუშავა.

2004 წლიდან 2011 წლამდე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრის მენეჯერის პოზიციას იკავებდა. 2011 წლის შემოდგომიდან "ჯეო ჰოსპიტალსის" ზესტაფონის სამედიცინო ცენტრის დირექტორი გახდა. ერთი წლის შემდეგ "ჯეო ჰოსპიტალსის" ქსელის იმერეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად დაინიშნა.

2014 წლიდან გიორგი კუხიანიძე ისევ ბრუნდება ზესტაფონის სამედიცინო ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე.

2022 წლის სექტემბრიდან სამტრედიის მრავალპროფილური ცენტრის დირექტორი გახდა. ჰყავს მეუღლე, პროფესიით ექიმი ნატალია გიორგაძე, ასევე ექიმი შვილები, ოლგა და ირინა კუხიანიძეები და 4 შვილიშვილი.

სამტრედიაში სამუშაოდ გადმოსვლას ნეგატიური როტაციით ხსნის, რომელიც თანამედროვე მენეჯმენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამართლებულ ქმედებად მიაჩნია.

"მე მოვედი სამტრედიაში ზესტაფონიდან. დიახ, იქაც "ჯეოს" სამედიცინო ცენტრის დირექტორი ვიყავი და აქაც ხელმძღვანელის პოზიცია ჩავიბარე. ამ ეტაპზე რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ სამტრედიაში დამხვდა ძალიან კარგი მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი მაღალი კვალიფიციური და აკადემიური დონის სამედიცინო პერსონალით. რაც თავი მახსოვს, სამტრედია ყოველთვის გამოირჩეოდა ძლიერი ექიმებით. სასიამოვნოა, რომ ტრადიცია და მდგომარეობა დღემდე შენარჩუნებულია, ზოგ შემთხვევაში – უფრო განვითარებულიც." – "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ასე აფასებს ვითარებას გიორგი კუხიანიძე.

"ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის სამედიცინო ცენტრის ირგვლივ გავრცელებული უარყოფითი შეფასებების გასაქარწყლებლად ახალი ხელმძღვანელი თავისებურ განმარტებას აკეთებს: "კარგად მოგეხსენებათ, სამედიცინო ცენტრი არის მაღალი რისკის მქონე დაწესებულება, სადაც ხვდებიან როგორც ტრავმით, ასევე, სხვადასხვა სენით დაავადებული ადამიანები, მათ შორის უმძიმესი მდგომარეობით. სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში ვერ ვახერხებთ სიკვდილზე და თუ მაინცდამაინც თქვენს კითხვაში ამაზეა საუბარი, მინდა, სამტრედიელებმა იცოდეთ, ლეტალობის მაჩვენებელი სამტრედიის "ჯეოში" ერთ-ერთი ყველაზე დაბალია არა მარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებით ეს გამოიხატა კოვიდპანდემიის პერიოდში. თქვენი მედპერსონალის სახელით უნდა ითქვას, რომ სამტრედიაში იმ დროს სიკვდილიანობა ძალიან დაბალი იყო. არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სამტრედიის კოვიდ ცენტრში მწოლიარე პაციენტები მხოლოდ ფორმით იყვნენ დაავადებულები. არა, ეს ასე არ არის. მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ აქ იყვნენ უმძიმესი კოვიდიანები, მაგრამ სამტრედიელი მედპერსონალის თავდადებით ეს ადამიანები გადარჩნენ და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ".

პოზიტიური დიალოგის ფონზე ვერ ავცდით რეალობას და სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში გაუქმებულ განყოფილებებზე საუბარსაც გადავწყვდით. კერძოდ, სამშობიარო განყოფილების, რომელიც გახსნიდან რამდენიმე წლის განავლობაში არცთუ ისე ურიგოდ ფუნქციონირებდა.

გიორგი კუხიანიძე: "სამშობიარო განყოფილების დახურვას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი, დემოგრაფიული პრობლემაა, საქართველოში შობადობის მაჩვენებლის კლება. ადგილობრივი მენეჯმენტი ამ საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტას ვერ შეძლებს. მე შევხვდი ცენტრის თანამშრომლებს, შევისწავლე ბაზა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: იმის გათვალისწინებით, რომ სამტრედიას აქვს მაღალი პოტენციალი, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უმრავლესი სამედიცინო სერვისი სამტრედიელებს მივაწოდოთ ადგილზე. მომხრე ვარ იმისა, რომ ადგილობრივი მკვიდრი არ უნდა მიდიოდეს სამკურნალოდ ქუთაისში. გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. გადავწყვიტეთ, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ვიქონიოთ ამბულატორიულ ცენტრთან. სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს აქვს ძლიერი ქირურგია, ლაპარასკოპიის ნაწილით, კარდიოლოგია, ნევროლოგია, თერაპია, რეანიმაცია.

თანამედროვე აპარატურით საუკეთესოდ არის აღჭურვილი რადიოლოგია: რენტგენოლოგია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ექოსკოპია. ამ დარგებში გვყავს საუკეთესო სპეციალისტები.

უძლიერესი ლაბორატორია გვაქვს თამამად შემიძლია, განვაცხადო, არც ერთი ანალიზისთვის, იშვიათის გარდა, სამტრედიიდან არ უნდა წავიდნენ ქუთაისში. ლაბორატორიული კვლევის მთელი სპექტრი ხარისხიანად სრულდება ადგილზე.

გიორგი კუხიანიძემ "სამტრედიის მაცნესთან" სამომავლო გეგმებზე ისაუბრა: "გეგმაში მაქვს ამბულატორიის გაძლიერება. ამ სფეროში გვყავს არაჩვეულებრივი კადრი, თამარ ლოლაძე. მეგრა,პედიატრია სამტრედიაში ოქტომბრიდან უხარვეზოდ იმუშავებს.

ჩვენმა სამედიცინო ცენტრმა სამტრედიაში უნდა მიიღოს ყველა სახის პაციენტი, ადგილზე უნდა შეფასდეს მდგომარეობა, თუ პაციენტს დასჭირდება სხვა უფრო მაღალი დონის და მიმართულების სამედიცინო მომსახურება, მისი გადაყვანა უნდა განხორციელდეს ორგანიზებულად, შესაბამისი სტრუქტურების მონაწილეობით. პაციენტის სამედიცინო ცენტრში არ მიღება, ზოგადად, ძალიან ცუდი ტონია".

მიუხედავად იმისა, საგაზეთო სტატია სამედიცინო ცენტრის ახალ ხელმძღვანელთან ძირითადად გაცნობის მიზას ატარებდა, თავს უფლება ვერ მივეცით, კიდევ ერთ სეროიზულად მტკივნეულ საკითხზე არ გვეთხოვა კომენტარი.

საქართველოში მედიცინა დღითიდღე უფასურდება, რაც ითასხება სამედიცინო პერსონალის უკიდურესად დაბალ ხელფასებში. საყოველთაო კრიტიკას ვერ უძლებს ექთნებისა და სანიტრების შრომის ყოველთვიური ანაზღაურება. გიორგი კუხიანიძემ ჩვენი ინტერესი არც ამ შემთხვევაში დატოვა უპასუხოდ: "სამედიცინო სფეროს შრომის ანაზღაურების საკითხები უნდა იქნეს გადახედილი. ამ მიმართულებით ჯანდაცვის სამინისტრო აწარმოებს ძალიან დიდ სამუშაოებს. ჩვენ ველოდებით დაფინანსების ახალ სისტემაზე გადასვლას.

საპილოტე პროგრამა თბილისის რამდენიმე კლინიკაში გაივლის გამოცდას და შემდეგ გავრცელდება მთელ ქვეყანაში. ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტრომ მოსახლეობა უკვე ხაჟენა საქმის კურსში. ჩვენ ველოდებით ამ ცვლილებას. სწორედ ამის შემდეგ მედპერსონალზე შეეძლებით შრომის ანაზღაურების მომატებას."









# ახალი სასწავლო წლის გაუნელებელი ემოციებით



თეა ბაზუნაშვილი

გაზეთის პერიოდულობამ არ მოგვცა საშუალება, სასექტემბრო ემოციები უფრო ცოცხლად მოგვეტანა თქვენამდე, მაგრამ გაზეთის ფურცლები ახლაც დაიტევს იმ სიხარულს, თვალხატულა გოგო-ბიჭების გულისფეთქვის რიტმს რომ ჰყვება.

ჯერ ისევ არ შეშრობია სიახლის სურნელი სახელმძღვანელოებს, არ განელებულა ახალი სასწავლო წლის დაწყების აღტაცება. ამიტომ... არც ისე გვიანია გითხრათ, რომ იგი მისთვის შესაფერი ფერადოვნებითა და ერიამულით განახლდა სამტრედიის ყველა საჯარო სკოლაში. ამიტომ, წარმატებების სურვილითა და იმედით უნდა გაგრძელდეს, სხვა გზა არ არის, რადგან ქვეყნის სიძლიერეს ამ მერხებთან ეყრება საფუძველი.

შემოდგომის მზეს ახლა საკლასო ოთახები ვერ იტევდა. ისიც მერხებთან ვერ ეტეოდა და მთელ ქალაქს სადღესასწაულო სხივებად ეფინებოდა.



ხელისუფლების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები სკოლებს კეთილ სურვილებიანი მილოცვებით სტუმრობდნენ, საკუთარ მოსწავლეობას იხსენებდნენ.

ყოველდღიური სასწავლო დღეებისგან განსხვავებული გახლდათ სასწავლო წლის პირველი დღე ყველა საჯარო სკოლაში. ღიმილსა და სიმღერას არც ცეკვა და მხიარულება აკლდა. "ქუდი მოიხადეთ, ბატონო ნემო, მასწავლებელი მოდის"! – ასეთ და მსგავს სტროფებს ყველგან მოისმენდით. იყო მონატრების და სიყვარულის დღესასწაული.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 სასწავლო წელს 6681 მოსწავლე შეუდგება სწავლას. აქედან, 553 პირველკლასელია. თუმცა ეს ციფრი საბოლოო არ არის, რადგან პირველი-ორი კვირის მანძილზე კიდევ ელოდებიან მატებას. პირველკლასელებს, ტრადიციულად, გოგებაშვილის რედაქციით შედგენილი "დედა ენა" და ბუქები გადაეცათ. აგრეთვე, საქართველოს მასშტაბით, მეათე კლასის სახელმძღვანელოების ახალი კომპლექტი შემუშავდა, რომელიც სკოლებს გადაეცემა. წელს საგანმანათლებლო სისტემაში სიახლეა ის, რომ დაწყებით სკოლებში სასწავლო საგნად ჭადრაკი დაემატა. საპილოტე პროგრამით სასწავლო დისციპლინებს მაღალ კლასებში სამხედრო საქმის შესწავლაც მიემატება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 36 საჯარო სკოლაა, აქედან ორი კერძო და 34 სახელმწიფო დაქვემდებარების. 34-დან ოთხი სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ამიტომ, ქალაქის მე-12, მე-4, ნაბაკევისა და ტოლების საჯარო სკოლებს მეორე ცვლაში მოუწევთ მუშაობა. ისინი უახლოეს სხვა საჯარო სკოლაში განაახლებენ სასწავლო პროცესს. აღსანიშნავია, რომ დიდი ყნებათაღელვისა და მითქმა-მოთქმის მიუხედავად, მე-4 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხდება და მისი დანგრეული შენობის ადგილზე კვლავ სასწავლო დაწესებულება აშენდება. ძველის ადგილზე ახალი სკოლა აშენდება ტოლების თემშიც.

პანდემიით გაჯერებული მძიმე წლების შემდეგ, ხაზგასასმელია ისიც, რომ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, უსაფრთხო გარემოა შექმნილი.

მზე შემოდგომისა სკოლისკენ გვიწვევს. გადაშლილი წიგნები დიდფანჯრიანი საკლასო ოთახების მერხებთან ელოდებიან მოსწავლეებს. როგორც იმ ლექსშია,გოგებაშვილის რედაქციით შედგენილ "დედაენაში" რომ წერია, "გიგლა გვიონა სწავლა, ახლა კარგია გავლას", "არა, მზეო, მზექალა, ჯერ დავასრულე სწავლა" – უნდა უპასუხონ ახალ სასწავლო წელს შეგებებულმა გოგო-ბიჭებმა.















# სიახლე საჯავახოს სკოლაში

ახალ 2022-2023 სასწავლო წელს სიახლე არის სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოს სკოლაში, განსაკუთრებით კი დაწყებითი (I-IV) კლასების მოსწავლეებისთვის. ამ სასწავლო წელს დაწყებითი (I-IV) კლასები, წლების მანძილზე სკოლის მიერ გაკეთებული ეკონომიით ახლად რეაბილიტირებულ ფლიგელში განთავსდა, რომელიც მანამე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გამო წლების მანძილზე გამოუყენებელი იყო. აღნიშნულ რეაბილიტირებულ ფლიგელში ისწავლიან I-IV კლასების მოსწავლეები დამოუკიდებლად სკოლის სხვა მოსწავლეებისაგან, ექნებათ ცალკე შესასვლელი, საპირფარეშოები, მათ შორის ადაპტირებული ბუფეტის ოთახი.

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლა ერთადერთი სკოლაა საჯავახოს თემში შემავალ სამ სოფელში (საჯავახო, ნიგორზღვა, ჭოგნარი), სადაც საჯავახოს თემში შემავალი სამივე სოფლის მოსწავლეებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე (სოფელ ნიგორზღვასა და სოფელ ჭოგნარში მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურებია).

სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლა კარგი ტრადიციების მქონე უძველესი სკოლაა, ის აშენებულია 1938 წელს. სკოლა კვალიფიციური, საქმეზე შეყვარებული, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი კადრებითაა დაკომპლექტებული. ამ სასწავლო წელს სკოლა 98 მოსწავლით დაკომპლექტდა, კიდევ არიან მსურველები, რომლებსაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, დადგენილ ვადებში ვერ შეძლეს მობილობა. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასწავლო კონკურსებსა და ოლიმპიადებში, ჰყავს გამარჯვებულებიც. 2022 წელს სკოლის კურსდამთავრებულების 50%-მა, ექვსი კურსდამთავრებულიდან სამმა წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლის შენობა, საკლასო ოთახები საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს კარგად გვაქვს გააზრებული ინფრასტრუქტურის მხრივ მოწესრიგებული სასწავლო გარემოს მნიშვნელობა, ამიტომ სკოლა საკუთარი ძალებით შესაძლებლისდაგვარად ყოველწლიურად აწესრიგებს ინფრასტრუქტურას, სკოლის მიერ გაკეთებული ეკონომიით და საჭიროების შემთხვევაში ჩვენი ფიზიკური შრომით. ეკონომიის გაკეთების მიზნით სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს არც ერთხელ არ მიუღია რაიმე ფინანსური წახალისება სკოლის ბიუჯეტიდან, ჩვენივე სურვილით განვაცხადეთ უარი ფინანსურ წახალისებაზე იმ მიზნით, რომ ჩვენ მიერ გაკეთებული ეკონომიით შეგვძლებოდა სკოლის ინფრასტრუქტურის ნაწილობრივ მოწესრიგება მაინც. სწორედ ჩვენი დაუზარელი შრომისა და გაკეთებული ეკონომიის შედეგია ის ახლად რეაბილიტირებული ფლიგელი, რომლითაც ჩვენი პატარა აღსაზრდელები გავახარეთ სასექტემბროდ. აღნიშნული ფლიგელის რეაბილიტაციამ შეადგინა 94 625. 60 ლარი (მათ შორის ინფრასტრუქტურის სააგენტოს 2014 წლის ნაშთი 33 590. 61 ლარი, ხოლო სკოლის ეკონომიის თანხა – 61 034. 99 ლარი). აღნიშნული ფლიგელის რეაბილიტაციამ მოხსნა საკლასო ოთახების პრობლემა და ასევე, უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში დიდ როლს ასრულებს.

სკოლის დირექცია გამუდმებით ზრუნავს სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის. ამჟამად სკოლას შედგენილი აქვს ქიმიის ავარიული კაბინეტის რეაბილიტაციის, ბიბლიოთეკის იატაკის რეაბილიტაციის, მწყობრიდან გამოსული ფანჯრების ახალი მეტალო-პლასტმასის ფანჯრებით შეცვლის, არსებული მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების რეაბილიტაციის, გარე ფასადის ნაწილობრივ რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 38 779. 00 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ითვალისწინებს. ეს სამუშაოები ისევ სკოლის მიერ გაკეთებული ეკონომიით დაგროვილი თანხით შესრულდება უმოკლეს ვადაში.

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლა მომავალშიც სახელოვნად გააგრძელებს საქმიანობას და ქვეყანას აღუზრდის სასახელო მამულიშვილებს.

*საჯავახოს სკოლის*
*პედაგოგების სახელით*
*პედაგოგი თამარ ახალაძე*






## საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო

საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სამტრედიაში 19 სექტემბერს დაიწყო.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ადმინისტრაცია აღმზრდელ-პედაგოგებები თავიანთ აღსაზრდელებს უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოში ყოფნას სთავაზობენ.

მუნიციპალიტეტის მერი დილიდანვე მობილიზებული იყო რამდენიმე სკოლამდელ დაწესებულებაში მისასვლელად.

დავით მახტაძემ ოფიციალურ სამტრედიასთან ერთად თავდაპირველად ქალაქის ერთ-ერთ მაღალკონტინგენტიან №4 ბაგა-ბაღს მიაშურა. პირველ დღეს 207 აღსაზრდელი მოვიდა. პატარებს სიყვარულით და ჩვეული შემართებით მმართველი ნანა დუნდუა მიეგება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ თანამშრომლებთან ერთად 2022-2023 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცა ქალაქის №1 საბავშვო ბაღს. მმართველი მარინა შენგელია ბავშვთა კონტინგენტის გაზრდაზე საუბრობს. პირველ ბაგა-ბაღში სულ 4 ჯგუფია გახსნილი.

ახალ სასწავლო წელს მეორე წელია, ახალ შენობაში ხვდებიან ნაბაკევის საბავშვო ბაღის პატარები, სადაც ბავშვთა კონტინგენტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სამტრედიაში ამ დროისთვის 24 სკოლამდელ დაწესებულებაში სულ 1030 აღსაზრდელი ირიცხება.

ნინო ნანიტაშვილი



## ცისანა ჭანტურია – მოსწავლეობის წლების დაუვიწყარი სახე

განსაკუთრებით თბილად მახსენდება ქალბატონი ლუბა და ნიკოლოზ ჭანტურიების ოჯახი. მათ ღირსეულ ფუძეზე აღიზარდნენ მაღალზნეობრივი ადამიანური ღირებულებებით გამორჩეული შვილები მედიკო, ლელი და ცისანა.

სკოლა სამივემ მედალზე დაამთავრა (ორი ოქრო და ერთი ვერცხლი).

ცისანა ჭანტურია ჩემი თანაკლასელია, რომელთანაც ბავშვობის საუკეთესო და გულწრფელი ურთიერთობის წლები მაკავშირებს. სკოლის მიმდებარე ქუჩაზე მათი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, გამორჩეული ვაზის ყარდის ბუჩქებით მოფენილი ეზოთი, ბავშვებს განსაკუთრებით გვიზიდავდა. ვინ იცის, ამ ეზოში "ხეობანა" რამდენჯერ გვითამაშია. შეულამაზებლად ვიტყვი, კლასში ბევრი საუკეთესო მოსწავლე იყო, მაგრამ ცისანა ჭანტურია საუკეთესო მოსწავლის ეტალონი, კლასის იმედი და, რაც მთავარია, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, გულისხმიერებით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა თავს.

მეხსიერებაში დღემდე შემორჩენილი მოგონების შესახებ მინდა გიამბოთ. დირექციის ნებართვით ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე დაგვესწრო. გალაკტიონ ტაბიძის "მე და ღამე" გვქონდა, წინა დღის დავალება იყო. მოსწავლეები მღელვარებამ მოიცვა. მივხვდით, რა პასუხისმგებლობის წინაშე იდგა კლასი და მასწავლებელი. პირველი, განმცხადებლის შვილი გამოიკითხა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მოწინავე მოსწავლეები ერთი, მეორე, მესამე... მოჭარბებულმა ემოციამ თავისი შედეგი გამოიღო. ლექსი ვერც ერთმა ბოლომდე ვერ წარმოსთქვა. ცისანას ჯერიც დადგა, სულგანაბული ვუსმენდით. არ დამავიწყდება, როგორი დამაჯერებლობით წაიკითხა "მე და ღამე"და რომ იტყვიან, "ღამე გაათენა". ბნელს ნათელი მოჰფინა. სული მოვითქვით. შურა მასწავლებელს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა.

არ მიკვირს, რომ მან ცხოვრების გზა წარმატებით გაიარა. ოქროს მედალოსანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კარები შეაღო და წარჩინებით დაამთავრა, შემდეგ ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია. ქალბატონმა ცისანამ ღირსეული ოჯახი შექმნა, საყვარელი ვაჟი, შვილიშვილები... გულსატკენია, რომ დღეს ის ტრავმირებული დედაა და მეუღლესთან ერთად განუზომელ ტკივილს ეზიდება...

მაგრამ ცისანა ჭანტურია არის საქართველოს ქალი, ამ სიტყვის სრული გაგებით. ის ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო (ამჟამად მე-12 საჯარო) სკოლის 1958-1959 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებულია.

ვიმაყობ მოსწავლეობის წლებში მასთან ხიდასა მეგობრობის ფურცლებით, რომელზედაც ამოტვიფრულია მხოლოდ სიყვარული, ერთგულება და დაუვიწყარი მოგონებები.

ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებ ბავშვობის წლების საუკეთესო მეგობარო ცისანა!

*დაუვიწყარი მოგონებებით და საუკეთესო*
*სურვილებით ნათელა გელეიშვილი*




## ევროპაში აფრიალებული სამტრედიის დროშა

2022 წლის 8-9-10-11 სექტემბერს უნგრეთის ქალაქ შოლნოკში ჩატარდა ევროპის ღია ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში "შოლნოკის თასი", სადაც მონაწილეობას იღებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (სპორტსკოლის დირექტორი ივანე კილტავა). სპორტსმენი ელენე ჭუმბაძე და მწვრთნელი სენსეი მიხეილ ქანთარია.

აღნიშნულ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ელენე ჭუმბაძემ. მან დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. გადაეცა მას თასი, მედალი და სერტიფიკატი, ხოლო სენსეი მიხეილ ქანთარიამ ჩემპიონატის სპეციალური თასი მიიღო.



მადლობას ვუხდით ელენეს მშობლებსა და იმ პირებს, რომლებიც ელენეს წინა საჩემპიონატო სპორტულ შეკრებაში მონაწილეობდნენ.

ვუსურვებ ელენე ჭუმბაძეს წარმატებებს მომავალ ჩემპიონატებში!

*მიხეილ ქანთარია*
*კარატეს ჯგუფის მწვრთნელი*
*მასწავლებელი*

# მოჭიდავეებმა ახლად გარემონტებული დარბაზი ჩაიბარეს

**ქეთევან ბედიაშვილი**

ლურჯი გაიჭრა და საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა, დროშაც აფრიალდა. მაგრამ იმ დღეს კვარცხლბეკზე არავინ დამდგარა. სამტრედიელი ძიუდოისტები თავიანთი სპორტული დარბაზის განახლებას ზეიმობდნენ. მუნიციპალიტეტის მერი დავით ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად მონაწილეობდნენ ღონისძიებაში.

დარბაზი 17 წელია ფუნქციონირებს და ამ ხნის მანძილზე აქ ბევრი წარმატებული მოჭიდავე აღიზარდა. მათ შორის საქართველოს მრავალგზის და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი უშანგი მარგიანი, რომლის სახელსაც ამიერიდან ძიუდოს დარბაზი ატარებს.

დამოუკიდებლობის, 21 სექტემბერს, კარგი საჩუქარი მიიღეს ძიუდოისტებმა. დიდი ხნის ოცნება ახდათ – ინფრასტრუქტურის კუთხით ყველანაირად გამართული დარბაზი ჩაიბარეს. დღეს 80-ზე მეტი აღსაზრდელი ეუფლება აქ ჭიდაობას მთავარი მწვრთნელის, ავთანდილ თარგამაძის, მწვრთნელების, ბადრი შენგელიასა და ბესარიონ მეანარიძის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბასილაძემ, დამოუკიდებლობა მიულოცა შეკრებილებს და აღნიშნა: "სასიამოვნოა, რომ ამ დღეს დაემთხვა დარბაზის გახსნის ცერემონიალი. თითოეულ თქვენგანს მინდა, წარმატებები გისურვოთ. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ჯანსაღი თაობა. თქვენ ხართ მაგალითი ჩვენი თანატოლებისთვის, რომელიც სპორტული ცხოვრებით არ არის დაკავებული. მათ უნდა მისცეთ მიძღვა, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ჩაებან სპორტულ ცხოვრებაში და გახდნენ მიმდევრები.

მუნიციპალიტეტი სიქველით კლუბებს და თითოეულ იქნებიან ახალი ინფრასტრუქტურით მოწყობილ დარბაზს. წარმატებით დაგვეგულისხმება მრავალი მწვრთნელი. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარკვეული ნაწილი გვაქვს, რათა მრავალმხრივ ვაცხადოთ. მთავარია, თქვენ იყოთ მოწოდების სიმაღლეზე, მიაღწიოთ მიზანს, იზრუნოთ როგორც საკუთარი, ასევე ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის".

აღფრთოვანებას ვერ მალავდა სპორტული კლუბ "ფალავანის" დირექტორი ვეფხია სტურუა. "ხამდვილად გახარებული ვარ", – მიმართა მან დარბაზში შეკრებილებს, – "გილოცავთ დღევანდელ დღეს! ცხოვრების მინდა, გითხრათ, რომ აქ უამრავი წარმატებული სპორტსმენი აღიზარდა. დარწმუნებული ვარ, გამართული ინფრასტრუქტურა მომავალში შედეგზეც აისახება და წარმატებებიც გაიმრავლდება". მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს, რადგან დარბაზი ახალი ლუქსში გამოვიდა. ასევე, მადლიერება გამოხატა მწვრთნელებისა და მშობლების მიმართ.

მადლობას არც ავთანდილ თარგამაძე იშურებდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისი შრომის შედეგადაც ძიუდოისტებმა ასეთი კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი ჩაიბარეს.

"დღეს რეაბილიტირებულია ჩვენი ძიუდოს დარბაზი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობით ორგანიზებული იქნა ფართომასშტაბიანი რემონტი. დამონტაჟდა ხელი წერტილები, მოეწყო ნიაზებული და შეცვლილია ყველა ფერი. დაიგო ახალი ტატამი და კედლები შეიმოსა ერთი ტატამს. დამოუკიდებლობა და ნამდვილად კარგი საჩუქარია. მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს, კლუბ "ფალავანის" დირექტორს, ვეფხია სტურუას, ირაკლი მელიქიძეს, ტარიელ ცომაიას, ყველას, ვინც ამ პროექტზე მუშაობდა. არ მინდა ვინმე გამომრჩეს.

კეთილმოწყობილი არ იყო დარბაზი, მაგრამ მედლები ნამდვილად კარგი ქონდა. ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონები აღიზარდნენ. ყველა ასაკობრივ ჯგუფში გვაქვს წარმატება ძიუდოში, სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში. განსაკუთრებულ სიამაყეს ანიჭებს მწვრთნელს, რომ სწორედ ახლა მისმა სტუდენტებმა მოიპოვეს, გიორგი ზაქარიაძემ, ხერხემში წარმატებით იასპარეზა ევროპის კონტინენტზე უფროსი ასაკის მამაკაცების შორის ჭიდაობა სამბოში. ჩვენი სამაყო განსაკუთრებით უშანგი მარგიანი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ მისი მეგვლი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები კვლავ შემოაბიჯებენ დარბაზში".

თავისი განწყობა 2021 წლის ევროპის პრიზიორმა დავით ბაღდავაძემაც გაგვიზიარა: "ძალიან კარგი განწყობა გვაქვს. დღეს დამოუკიდებლობაა, დღესასწაულია და ჩვენი დარბაზიც გაიხსნა. ეს ჩვენთვის ყურადღებაა, ლერგ გაუხსნელის პირობებში ვვარჯიშობდით და შედეგსაც ვდებდით, მომავალში უკეთესი შედეგები გვექნება".

"ძალიან დიდი სტიმულია, ახეთ დარბაზში ვვარჯიშით. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა უფრო მეტად განგვაწყობს და დაგვეხმარება, უკეთესი შედეგები მივაღწიოთ", – ამბობს 2022 წლის საქართველოს ჩემპიონი გიორგი წიქვაძე.







ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია, როგორც დავით ბასილაძე აღნიშნავს, ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტული მიმართულებაა. "ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლება, ვცდილობთ სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას", – განაცხადა მან. – "გარდა იმისა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტით შეკეთდა ამ დარბაზის რეაბილიტაცია, მიმდინარე წელს გაიხსნება რამდენიმე სპორტული მოედნის გახსნელება. მიმდინარეობს ლეჩა თევზაძის ქუჩაზე მოედნის რეაბილიტაცია, გადაკეთდება ქუჩაზე საკალათბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები. მომავალში კი მაგრამ ერთი მინი-გავლადის სახელობის

სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ხელოვნური საფარის მოედნის მოწყობას. პროექტი ხორციელდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით. ასევე ფედერაციის მეშვეობით გ. წ. ხის დამუშავებული კომპანიის დახმარებით გაკეთდება ორი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო და სამეჯიბრო მოედანი. რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობას, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მომავალში პროექტი განხორციელდება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები."

სამეცნიერო ცერემონიალს კიდევ მეტი ამაღლებული განწყობა შემატა ერთის მანეჯმენტის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლის. "სამტრედიას" მიერ ნამღერმა სიმღერამ საშემსრულებლო და ქორეოგრაფიული ანსამბლის მიერ შესრულებულმა ცეკვა "ქართულმა".



# უცხოური პოეზიიდან ბრიტანულ და ამერიკულ პოეზიას გამოვყოფდი

ნათია ნაცვლიშვილი

*ჩვენს რუბრიკას "ვისაც ლიტერატურა უყვარს" ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ნინარა ჩიტიშვილი სტუმრობს. ნინარა სამტრედიელთათვის საყვარელი პოეტის, შალვა ჩიტიშვილის შვილია. ვფიქრობთ, საზოგადოება ნიჭიერ პედაგოგში ნამდვილ ინტელექტუალს დაინახავს. როგორც მოსალოდნელი იყო, ნინარა შესანიშნავი რესპონდენტი აღმოჩნდა.*



**– ცნობილი პოეტის, შალვა ჩიტიშვილის შვილი ბრძანდებით, გაიხსენეთ, თქვენს ოჯახში როგორი იყო წიგნთან დამოკიდებულება?**

– სამწუხაროდ, მამას არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი დროის დიდი ნაწილი ჩვენთვის დაეთმო და ჩვენს განათლებაში მიეღო მონაწილეობა. ის რომ დააპატიმრეს, ჩვენ ძალიან პატარები ვიყავით და გათავისუფლების შემდეგ მალევე გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მისი როლი ჩვენს ადამიანებად ჩამოყალიბებაში და წიგნთან ჩვენს დამოკიდებულებაში, უდიდესია. პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომლითაც კითხვა ვისწავლე საბავშვო ბაღში ყოფნისას, იყო ანდრეას გრიფიუსის "ქეთევან წამებული". ჩემთვის ამ წიგნის კითხვა ძალიან რთული იყო, მაგრამ მგზნებარებით და იმის რწმენით, რომ კითხვას და დიდი პატრიოტი დედოფლის ისტორიას ერთდროულად ვისწავლიდი, დიდი სირთულით, მაგრამ დიდი სიყვარულით წავიკითხე წიგნი.

**– მამის გავლენით, ალბათ, ლიტერატურა შეგიყვარდებოდათ, მით უფრო, პოეზია, საყვარელი ჟანრი გაქვთ, თუ დროის მსვლელობის კვალზე ლიტერატურული გემოვნებაც გეცვლებათ?**

– მამაჩემის ცხოვრებამ, მისმა პრინციპებმა და მისმა გარდაცვალებამ მე და ჩემი და ბევრ რამეზე დაგვაფიქრა და ძალიან ადრეული ასაკიდან დაგვანახა, რა არის უსამართლობა, თუ როგორ შეუძლია ტოტალიტარულ რეჟიმს წაართვას ადამიანს ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მას აბადია. მისი თავისუფლება, თვითგამორკვევის შესაძლებლობა, ბედნიერებისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის უფლება, როგორ შეუძლია დახცეს და ჩაკლას მასში ადამიანი, ამიტომ წიგნებში ვეძებდით პასუხებს და როცა მას ვპოულობდით, ჩვენთვის ეს დიდი ბედნიერება იყო. ბერძნული ლიტერატურა, წიგნები ლიკურგზე და სოლონზე, ასევე ძველი რომაელი ფილოსოფოსები, მარკუს ავრელიუსი, რეფორმატორები, ძმები გრაკხუსები, ჩვენთვის ძალიან ახლობლები იყვნენ. გარდა ამისა, პოეზია და მხატვრული ლიტერატურა იყო და დღესაც არის შემეცნების და ამავდროულად, გართობის საშუალებაც.

**– დაძაბული პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად მხატვრული ნაწარმოებების წასაკითხად იცლით? ბოლოს რამ მოგანიჭათ დიდი ბედნიერება?**

– მიკვირს, როცა ამბობენ, რომ კითხვისთვის დრო არ რჩებათ. ადამიანის განვითარება მის გონებრივ განვითარებას გულისხმობს, როგორ შეიძლება განვითარდეს წიგნის კითხვის გარეშე?! ტექნოლოგიური აღმოჩენები ხომ თავისთავად არ მომხდარა, მათ წინ უძღოდა დიდი განმანათლებლების ეპოქა, მე-17-მე-18 საუკუნეთა მიჯნაზე. სამეცნიერო და ინტელექტუალურმა მოძრაობამ მოიტანა პროგრესი, რითაც დღეს ვსარგებლობთ, რამაც ჩვენი ცხოვრება გაამარტივა და საინტერესო გახადა, დიდი გონებრივი შრომითაა მიღწეული.

**– პოეზია, თქვენთვის, ალბათ, მამის ფენომენით იწყება, დაგვისახელეთ პოეტები, რომელთა წიგნებს ხშირად მიაკითხავთ ხოლმე...**

– ალბათ, ძნელად მოიძებნება პოეზიის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების მქონე ადამიანი, პოეზია,როგორც ლიტერატურული ჟანრი ძველ საბერძნეთში წარმოიშვა. პოეზია, ეს არის სილამაზის, იდეებისა და გრძნობების გადმოცემა რითმული სიტყვების მეშვეობით, პოეზია უცნაური სამყაროს კარს გვიღებს და ჩვენთვის ცნობილი რეალობის ახლებურად დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს. პოეზიას აქვს უდიდესი ძალა, ანუგეშოს ადამიანი, გაამხნევოს და ცხოვრების სირთულეებთან გამკლავების სულისკვეთებით განმსჭვალოს. დღეს, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ვიწრო რიტმში, თითქოს პოეზია გაუფასურდა და დაკარგა აქტუალობა, მაგრამ ეს ასე არაა, პოეზია იყო, არის და იარსებებს მარადიულად და მუდმივად განვითარებადი სამყაროს ნაწილი იქნება, რაზეც არასოდეს იტყვის უარს გონიერი, ინტელექტუალური ადამიანი. ჩვენ, ქართველებს შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი მრავალრიცხოვანი მგოსნებით და მათი უკვდავი ქმნილებებით. საქართველო ნამდვილად არის მგოსნების ქვეყანა და გამოვყო რომელიმე მათგანი და ვთქვა, რომელია ჩემი საყვარელი ქართველი პოეტი, ძალიან გამიჭირდება. უცხოური პოეზიიდან, ძირითადად, ბრიტანულ და ამერიკულ პოეზიას გამოვყოფდი. შექსპირის სონეტები, რომელიც ძალიან პოპულარულია ქართველებში, ბაირონის შემოქმედება, რობერტ ბერნსის პოეზია, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, სამართლიანობა, უბრალო ადამიანების და მათის სიყვარული ორივესთვის მთავარ ადგილს იკავებს მათ შემოქმედებაში, რადიარდ კიპლინგი, უილიამ უორდსვორთი, რობერტ ფროსტი, ესენი არიან ჩემი საყვარელი პოეტები.

**– სქელტანიანი ნაწარმოები წაგიკითხავთ პლანშეტში?**

– წიგნი, რომელსაც ახლა ვკითხულობ, არის ფრედერიკ დუგლასის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები "ჩემი მონობა და ჩემი თავისუფლება" ინგლისურ ენაზე, ელექტრონულად. ინტერნეტში ვკითხულობ. ფრედერიკი იყო ფერადკანიანი მონა, რომელსაც, როგორც მონას, ეკრძალებოდა წერა-კითხვის სწავლა და განათლების მიღება, გაუნათლებლობა, როგორც საშუალება ადამიანის დამონებისა, კარგად იყო ცნობილი მონათმფლობელობისათვის და მკაცრად კონტროლდებოდა ეს აკრძალვა. მიუხედავად ამისა, ფრედერიკმა, რომელსაც არ უვლია სკოლაში, მაგრამ ესმოდა განათლების ფასი, ადრეულ ასაკში მოახერხა წერა-კითხვის სწავლა. ბევრი დამცირებისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, განათლებით და "არასოდეს დანებდე უსამართლობას" რწმენით შეიარაღებულმა დააარსა გაზეთი და გახდა მისი რედაქტორი. დუგლასი უპირისპირდებოდა უსამართლობას თავის გამოსვლებში და პუბლიკაციებში იბრძოდა როგორც მონობისა და სეგრეგაციის წინააღმდეგ, ასევე, ქალთა უფლებებისათვის. იგი თავდაუზოგავად იბრძოდა თავისუფლებისათვის, პირველი ფერადკანიანი იყო, რომელმაც მაღალი თანამდებობა დაიკავა ამერიკის მთავრობაში, სწორედ მისი სიტყვებით დავამთავრებ ინტერვიუს: "პროგრესი ბრძოლის გარეშე არ მიიღწევა".

# სამტრედიაში ფეინთბოლში პირველი ტურნირი გაიმართა

ქეთევან ზელიძე

ასოციაციურად, თორემ ეს არც რომის კოლიზიუმში ხდებოდა და არც მებრძოლები იყვნენ გლადიატორები. მით უფრო, სანახაობას არც მსურველები აკლდა და არც ხმამაღლა შეძახილები.

23 სექტემბერს ეროსი მანჯგალაძის სახელობის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე სპეცფორმით შემოსილი ახალგაზრდები თავიანთ რიგს ელოდნენ "ბრძოლის ველზე" გასასვლელად. ფეინთბოლი – ასე ჰქვია ექსტრემალურ, ტაქტიკურსპორტულ თამაშს, რომელიც პირველად გაიმართა სამტრედიაში. იმიტირებული საბრძოლო ქმედებები პნევმატური იარაღით და ჟელატინის ბურთულებით სპორტის ერთ-ერთი, შედარებით ახალი სახეობაა. იგი 2007 წლიდან არსებობს ჩვენს ქვეყანაში და მასშტაბურობას მხოლოდ ახლა იძენს.

როგორც საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლაშა გოგოძე გვიხსნის: "თამაში 2 ქულამდეა. გუნდში 5-5 მოთამაშეა, გვინდა, პოპულარული გავხადოთ სპორტის ეს სახეობა. ყველა მუნიციპალიტეტში ვაწყობთ შეჯიბრებებს. გამარჯვებული გუნდები ფინალში თბილისში შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით, გუნდები მოხალისეებით არიან დაკომპლექტებული".

"მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური აქტიურად ჩაერთო ფეინთბოლის დაგეგმილ ტურნირში". – გვეუბნება ამავე სამსახურის თანამშრომელი.

აკაკი ჭანჭალეიშვილი. – "საინფორმაციო უზრუნველყოფა მოვახდინეთ მერიისა და საინფორმაციო სამსახურის ვებგვერდზე. მონაწილეობის მსურველები საკმაოდ აღმოჩნდნენ. გარდა იმისა, რომ მოხდება სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია, იგი ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას".

სამტრედიაში 11 გუნდმა იასპარეზა ფეინთბოლში. ფინალში ერთმანეთს გუნდები, "ფენიქსი" და "ფალავანი" შეხვდნენ. გაიმარჯვა მოჭიდავეებით დაკომპლექტებულმა "ფალავანმა". ფედერაციის პრეზიდენტმა გუნდს თასი, ხოლო მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, ფულადი ჯილდო გადასცა.

"დღევანდელი აქტივობა პირველად განვახორციელეთ ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით". – განაცხადა დავით ბახტაძემ. – "ჩვენთვის სიახლეა. სპორტის სახეობები რაც მეტი მრავალფეროვანი იქნება, მეტი სხვადასხვა უნარ-ჩვევა გამოუმუშავდებათ სპორტსმენებს. მივესალმები ფეინთბოლის ფედერაციასთან ჩვენს თანამშრომლობას. ვიმედოვნებ, იგი შემდეგშიაც აქტიურად გაგრძელდება".







## თამარ ისერგიშვილი

*იგი ლეგენდარულ მარო თარხნიშვილთან მღეროდა ჩვენი ქალაქის ისტორიაში დაუვიწყარია წლები, როცა "სიმღერას სამტრედიაზე" მრწყინვალედ ასრულებდნენ ქალბატონები თამარ ისერგიშვილი, ბადრი რობაქიძე და ცისანა ნიკურაძე. არაოფიციალურ ჰიმნადაა ქცეული ეს სიმღერა, მათი შემსრულებლები კი გაცილებით მეტ პატივს იმსახურებდნენ და იმსახურებენ.*

მქონდა ბედნიერება, სოფელ დიდ ჯიხაიშში მუშაობისას, ახლო ურთიერთობა მქონოდა ქალბატონ თამართან და მის მეუღლესთან, ბატონ მიხეილ ქუთათელაძესთან, რომელიც მაშინ დიდი ჯიხაიშის კულტურის სახლს ედგა სათავეში.



ერთხანს ქალბატონი თამარისა და ბატონი მიხეილის ქალიშვილი რუსუდანი ერთადაც ვმუშაობდით ყაზბეგის სკოლაში.

ჯერ კიდევ ომამდე, 1940 წლიდან, სრულიად ახალგაზრდა მღეროდა ფილარმონიასთან არსებულ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ლეგენდარული მარო თარხნიშვილი ხელმძღვანელობდა.

1949 წლიდან, 44 წლის მანძილზე, უკვე ინსტიტუტდამთავრებული ქალბატონი დიდ ჯიხაიშის საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა, მონაწილეობდა რაიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში,მინიჭებული ჰქონდა ლაურეატის წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. "სამტრედიის მაცნეს" დაარსების 75-ე წლისთავს ვზეიმობთ, გადავწყვიტეთ, კონცერტიც აკადემიური ყოფილიყო და ყურადღება ჩვენმა უფროსმა კოლეგებმა "სიმღერა სამტრედიაზე" ლეგენდარულ შემსრულებელ სამ ქალბატონზე შეაჩერეს. ქალბატონები ბადრი რობაქიძე და ცისანა ნიკურაძე დავითანხმეთ. ქალბატონ თამართან გავეშურეთ, არცთუ დიდი იმედით, რამეთუ იგი მაშინ საკმაოდ ხანდაზმული იყო. მოვიკითხოთ, უხერხულში არ ჩავაყენოთ, მერე ჩვენი სათქმელიც ვუთხრათ და მისიც მოვისმინოთ. – დაგვემოძღვრა ბატონმა ოთარ ნაფეტვარიძემ და გეზი დიდი ჯიხაიშისაკენ ავიღეთ. წლების უნახავი მეგონა, აშკარა იყო, რომ წლებს მისი გაეტანა. როცა ჩვენი მისვლის შესახებ გაიგო, წუთით ჩაფიქრდა და...

უკვე ჩვენს წინ ისევ ახალგაზრდა ქალბატონი თამარი იდგა, თქვენი ჭირიმეთ, კიდევ თუ გახსოვართ, ვინმეს თუ კიდევ გჭირდებით, მაგას როგორ დაგამადლითო. დანიშნულ დროს მოვიდნენ უბადლო სიმღერის უბადლო შემსრულებლები დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, სადაც გაზეთის იუბილე ტარდებოდა, და როცა სამმა ქალბატონმა სიმღერა დაასრულა, დარბაზს ოვაციამ გადაუარა.

თქვენ მე 100 წლის სიცოცხლე მაჩუქეთო, გვითხრა და თბილად დაგვემშვიდობა.

100 წელი სრულდება ამ დღეებში ქალბატონი თამარის დაბადებიდან, ეს ციცქნა მოგონებაც ამის გამო დაიწერა.

ლევან ბაბეჩავა

## ეს ჩემი ტკივილია, ტკივილისგან სიტყვაშემშრალი

წარსულში არ დაგწერ, არც მესამე პირში, შენ უნდა გელაპარაკო გოგა, დაბადების დღე უნდა მოგილოცო, 51-ის გახდი! გვერდით რომ მყავდე, სხვანაირი იქნებოდა ეს მილოცვა, მხიარული, ენაკვიმატი. შენთან სხვანაირად არ შეიძლებოდა და იმიტომ!

აქ არ ხარ, არც ის ვიცი, სად ხარ, უკვე ძნელი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ მაინც დაუჯერებელია უშენობა. დაუჯერებელია, როცა ბავშვობას გადავხედავ, საბავშვო ბაღის ასაკს რამდენიმე წლით გადაცილებულები, სკოლიდან მაინც იქ რომ ვბრუნდებოდით მასწავლებელ დედებთან. ატრაქციონებით სავსე საბავშვო ბაღის ეზოში დაიწყო სიყვარული, ბავშვობის მონატრებად რომ გრძელდებოდა და დედმამიშვილებივით გვაახლოვებდა ერთმანეთს. ახლა შენ წადი იმ ლამაზი წარსულიდან, შენამდე კაკო წავიდა, შენი ძმა. ბავშვობაში ჩვენზე ბევრად დიდი გვეგონა და მასაც ასე ეგონა საკუთარი თავი, უფროსივით შეგვიყვირებდა ზოგჯერ, საქანელადან არ გადმოვარდეთო.



მაგრამ შენსავით არავინ წასულა გოგა, ასე უცნაურად, შენნაირად! მეტკინე, ბიჭო, ძალიან, ძალიან! ბევრს ეტკინე გოგა, ალალი და პატიოსანი, საკუთარი თავის გარდა, არავისთვის არაფერი რომ არ დაგიშავებია, არ გიწყენინებია. საკუთარ თავს კი ეს რა უქენი! სად მიჰყვებოდი იმ ფიქრიან ბილიკებს ნეტავ, ვინ იცის, ერთ დაძახილს მოებრუნებოდი უკან. ალბათ არა, ძალიან გაგიჭირდებოდა საკუთარ თავთან აღსარების თქმა, საკუთარ სულთან დამშვიდობება.

ეს ჩემი ტკივილია, ტკივილისგან სიტყვაშემშრალი. ბავშვობის მერე კი ჩვენ ბევრნი ვართ, უკვე კოლეგები, მეგობრობაში გადასული სიყვარულით. საძებნი გახდი და გეძებდით გოგა, ყველა გეძებდით და იმედს ვებღაუჭებოდით, იქნებ!..

არ იქნა ეს იქნებ! და ახლა იქ გელით, შენს სამუდამო სახლთან ბოლო სიტყვის სათქმელად. სადაც შენ იყავი, ღიმილს გულიანი სიცილი ამთავრებდა. ახლა აგვატირე და ავტირდებით, თუმცა შენი მოგონება ღიმილის გარეშე არსად და არასდროს წავიდის. პირველი ხარ, როგორც ვამბობთ ხოლმე, ჟურნალისტთა კორპუსს რომ გამოაკლდი სამტრედიაში. შენსავით უდროოდ არავინ უნდა წავიდეს, გოგა, არც შენ უნდა წასულიყავი, მაგრამ... არავის დაუჯერე და!

დაგვაკლდი, გვეტკინე! უფალი გაანათლებს შენს სულს, ჩემო ბავშვობის მეგობარო, კოლეგავ და უბრალოდ, კარგო ადამიანო!

შეხვედრამდე!

თეა ბაბუნაშვილი

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ ასლან ბახტაძეს დედის, ქალბატონი

ციცა ვაშაკიძე-ბახტაძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ბახტაძეების ოჯახს ღირსეული ქალბატონის, დედის, ბებიის

ციცა ვაშაკიძე-ბახტაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ არჩვაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი

ციცა ვაშაკიძე-ბახტაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

## დეკანოზ ათანასე რუხაძის ტკივილიანი გახსენება



ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო და დიდო მონატრებავ, 25 სექტემბერი შენი გარდაცვალების დღეა. მეოთხედ ვხვდებით ამ დღეს ცრემლით, დარდით, ტკივილით და უსაზღვრო მონატრებით. გაუსაძლისია უშენოდ გატარებული თითოეული წამი, ტკივილს ვერაფერი შეამსუბუქებს, თუმცა შენთვის აღვლენილი ლოცვა, ანთებული სანთლები და კეთილი მოგონებები გვაძლევს ძალას, გავუმკლავდეთ შენი იმიერში გადასახლებით გამოწვეულ ტკივილს.

ვენატრებით, ჩვენო საამაყო, საიმედო, თბილო და მზრუნველო შვილო, უფალს ებარებოდეს შენი სპეტაკი სული.

შენზე უზომოდ მონატრებული
შენი დიდი ოჯახი

# გილოცავთ დაბადების დღეს!




კახა შენგელია




თემო ჭახნაკია




ლევან ბუაძე

## შთამბეჭდავად დაწყებული სასწავლო წელი

ფოიერვერკით დასრულებული ის კონცერტი, ხმამაღალი ემოციების ფონზე მიდიოდა და დიდი ოვაციებით დაიწყო. შთამბეჭდავად მიულოცა მუნიციპალიტეტის მერიამ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ადგილობრივ ახალგაზრდებს და არა მხოლოდ მათ, ახალი სასწავლო წლის დაწყება. თუმცა, არა მხოლოდ ადგილობრივები, სანახაობას სამტრედიის მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან სტუმრად ჩამოსულებიც ესწრებოდნენ. როგორც ამბობენ, იმ ღამეს, განსაკუთრებული მხიარულება რომ დაიტია, რამდენიმე ათასი ადამიანი იყო ვაგზლის მიმდებარედ, კულტურის ცენტრის წინ მოედანზე.

ამ მხიარულების შემოქმედი პოპულარული გადაცემის, "ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად", ბენდი გახლდათ. თავად გიორგი გაბუნია და მისი შოუს მუსიკალური ბენდი, ბოლომდე დაიხარჯნენ, რომ სამტრედიელებისთვის დაუვიწყარი საღამო ეჩუქებინათ. მუნიციპალიტეტის მერის,დავით ბახტაძის ეს ინიციატივა,მერიის კულტურის სამსახურმა განახორციელა.

სამტრედიელებისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ "ღამის შოუს" ბენდის ერთ-ერთი წევრი, დათო ზამთარაძე სამტრედიელია. მას კარგად იცნობენ ჩვენს პატარა ქალაქში.

განსაკუთრებით ღელავდა იმ საღამოს დათო ზამთარაძე და ეს იმიტომ, რომ: "აქ ბევრი ნაცნობი სახეა, ბევრი საყვარელი ადამიანი. აქ ყველაზე შინაური ვარ და ეს განსაკუთრებული განცდაა. ეს მორიგი კონცერტი არ არის ჩემთვის. კახეთში რომ ვიყავით გელასთან, გელა ნერვიულობდა განსაკუთრებულად. ასე იყვნენ სხვებიც. მართალია, ბოლო პერიოდში სამტრედიაში ხშირად ვერ ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ ფიზიკურად. მე სულ აქ ვარ, ამ გარემოცვაში, ამ აურაში. სამტრედია და სამტრედიელობა ყველგან მეტყობა და ბედნიერი ვარ ამით. მე ზურა კალაძე, ერეკლე ცხვარაძე და ბორია ბოლოთაშვილი აქედან ერთად წავედით, ერთად ვუკრავდით. მერე მოხდა ისე, რომ ჩვენ-ჩვენი გზით წავედით, ეს კარიერაში, თორემ ისე დღემდე ერთად ვართ და ერთნი ვართ. მუსიკა მათთან და მათგან ვისწავლე." ამ სახელდახელო საუბრისას, დათო ზამთარაძეს არაერთ ადამიანზე მისალმება და ღიმილიანი მოკითხვა უწევდა.

საკონცერტო სანახაობა რომ შთამბეჭდავი იყო, უკვე გითხარით. ღიმილი, სიყვარული, კარგი მუსიკა და საუკეთესო განწყობა წარმატებების სტიმულად უნდა დაებედოს მომავალ თაობას, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რათა მსგავსი საღამოების მოწყობის მოტივაცია კიდევ უფრო მაღალი იყოს.

თეა ბაბუნაშვილი















## ვულოცავთ!

მარი წიქვაძეს!



დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო მარი. ულევი სიხარული და ბედნიერება იყოს შენი ცხოვრების მეგზური.

უფალი გმფარველობდეს!

ირა ბებია ოჯახით



ანანო მიქაძეს!

2 ოქტომბერი, ბარაქიანი, ხვავიანი... ანანოს დაბადების დღეა! ჩვენო ლამაზო, თბილო და საყვარელო ანანო, გილოცავთ ამ დღეს! შენმა გაჩენამ აზრი მისცა ჩვენს არსებობას, ამიტომ ეს დღე ჩვენიც არის! გილოცავთ... რა გისურვოთ ამაზე მეტი, მოვალთ ჩაგისუტებთ, მოგეფერებით!

გვიყვარხართ უსასრულოდ...

ბებია და ბაბუა

მინიატურები

***

ჯოჯოხეთზე უარესია სამოთხე,
თუ იქ მარტომარტო იქნი კაცი..

***

ინტერვიუ ეშმაკთან:
– ყველაზე საშინელი რა არის ჯოჯოხეთში?
– ადამიანთან შეხვედრა..

***

დღეს ეს ქალია, გაზაფხული
ორხულობის კაბა,
წვიმა დალევარა, დაიწყო დარდი..
გაიხსნა ღრუბლები –
მზის საშველისნი.
დაიხედა.. აცხადა, ვოგია
სახელი? – მარტა..

მოხუცი დედა და შვილი

– გახსოვს დედა, რომ მეუბნებოდი ბავშობის დროს, აი, ხედი ხუთი თითი, ეს პატარა თითი შენ ხარ, აი, ეს დიდი თითი შენი მამიკო, ჩვენ უკვე გავიზარდეთ და ეს თითები ისევ პატარები რატომ არიან?

– ეს თითები მუდამ პატარები იქნებიან მიუგო დედამ და ჩუმად ხელებიანად გაიღიმა..

***

საწოლში იწვნენ
მოხუცი ცოლ-ქმარი,
მერე ეზოს ყვავილებად იქცნენ..

***

ავდარი რა გგონია?!
ავდარიც სიყვარულია –
ღრუბლების ჩახუტება..

***

მე რომ ვიტირე
დედის ხელებზე და
დედა მტიროდა..

ერმილე თოფურია

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან ბოზია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ზედიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა